

საქართველოს საფეხბურთო ატლასისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემის შედგენის მეთოდოლოგიური საფუძვლები

საბა მოდებაძე

ელ-ფოსტა: saba.modebadze618@sps.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

გეოინფორმაციული კარტოგრაფირება წარმოადგენს თანამედროვე კარტოგრაფიის ერთ-ერთ დინამიკურ მიმართულებას. ამჟამად ქართულ კარტოგრაფიაში ერთ-ერთ აქტუალურ თემას წარმოადგენს საქართველოსა და მისი მუნიციპალიტეტებისათვის კომპლექსური ელექტრონული ატლასისა და შესაბამისი, მუდმივ რეჟიმში განახლებადი, შეფასებითი გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემის შექმნა. ამდენად, თემა ინოვაციური დანიშნულებისაა. თემა თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობაშია. ევროპის ქვეყნებში მკვეთრად იზრდება მოთხოვნა სპორტული მენეჯმენტის საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებზე. ჩვენს ქვეყანაში კი მსგავსი მიმართულება არ არსებობს, ველი საკმაოდ თავისუფალია. ჩემი საკვლევი თემა კი შესაძლოა გახდეს საფუძველი ამ მიმართულების წინა პლანზე წამოწევის. სპორტის, კონკრეტულად კი ფეხბურთის დაწესებულებებს მიეკუთვნება საფეხბურთო ბაზები, სტადიონები. ამ დაწესებულებების რიცხვი და მათი გეოგრაფიული განაწილება განსაზღვრავს მოსახლეობის სპორტულ-საფეხბურთო მომსახურებას და წარმოდგენას გვამლევს ქვეყნის საფეხბურთო დონეზე. კარტოგრაფირების ობიექტად შერჩეულ იქნა ქვეყნის ტერიტორია, დროებით ოკუპირებული რეგიონების ჩათვლით. მიზნად დავისახეთ ქვეყნის მასშტაბით არსებული საფეხბურთო ატლასისა და გეოგრაფიულ ინფორმაციული სისტემის შედგენა. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარეობს შემდეგი კონკრეტული ამოცანები: ა) არსებული ლიტერატურული და კარტოგრაფიული წყაროების მოძიება და ანალიზი, ბ) ციფრული ტოპოგრაფიული საფუძვლის მომზადება შესადგენი თემატური რუკებისათვის, გ) საველე კვლევის ჩატარება და შეგროვილი ინფორმაციის სივრცული ანალიზი, დ) ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა მონაცემთა ბაზის შექმნა, ე) შეფასებითი გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემის შექმნა, ვ) თემატური ელექტრონული ატლასის შედგენა, სამეცნიერო რედაქტირება და გამოსაცემად მომზადება.

სამაგისტრო ნაშრომით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული იქნება: აღწერილობითი მეთოდი, სტატისტიკური მეთოდი, კარტოგრაფიული მეთოდი, დისტანციური ზონდირების მეთოდი, გეოინფორმაციული მეთოდი.

კვლევის განხორციელების შედეგად მიღებული კარტოგრაფიულ-გეოინფორმაციული პროდუქტი - შეფასებითი გეოინფორმაციული სისტემა და კომპლექსური გეოინფორმაციული ატლასი, შესაძლებელია პრაქტიკულად გამოიყენოს საქართველოს სპორტისა და კულტურის სამინისტრომ, ტურიზმის ეროვნულმა სააგენტომ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, ფიფამ, უეფამ, ქვეყნის მასშტაბით არსებულმა ყველა საფეხბურთო კლუბმა, თბილისის მერიამ, ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტის მერიამ, ტურისტულმა სააგენტოებმა, ტურისტულმა კომპანიებმა, სპორტის უნივერსიტეტმა, სპორტული მედიის წარმომადგენლებმა (ტელეარხები, სოციალური მედია-პლატფორმები, სპორტული იუთუბ არხები და ბეჭდური მედია), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტმა და ინსტიტუტმა, საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციამ.